ჯუნიჩირო ტანიძაკი

ნაზი თოვა

დიდებულნი
ბიბლიოთეკა

ჯუნიჩირო ტანიძაკი
ნაზი თოვა

谷崎潤一郎
細雪

Junichiro Tanizaki
SASAMEYUKI

იაპონურიდან თარგმნა თათია მემარნიშვილმა

გარეკანზე: ჯორჯ ჰენდრიკ ბრაიტნერის „წითელი კიმონო“ (ფრაგმენტი)

JAPANFOUNDATION
国際交流基金

წიგნი გამოიცა იაპონიის ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-721-3

www.diogene.ge

სარჩევი

წიგნი პირველი 7

წიგნი მეორე 209

წიგნი მესამე 461

წიგნი პირველი

1

– კოი-სან[1], გთხოვ...

საჩიკომ ოთახში შემოსული თაეკო სარკეში დაინახა და ფუნჯი გაუწოდა. კიმონოს შიდა ხალათის საყელო გადაეწია და კისერს ითეთრებდა. კიმონიან სილუეტს შეხედა. სარკიდან თითქოს უცხო ადამიანი უყურებდა.

– იუკიკო-ჩანი ქვევით რას აკეთებს?

– ეცუ-ჩანი უკრავს და იუკიკო უსმენს.

მართლაც, ჰოლში ფორტეპიანოს ჰანგები იღვრებოდა. ალბათ, კიმონოში გამოწყობილი იუკიკო ეცუკომ გამოიჭირა. ეცუკოს არ ადარდებდა, დედა თუ სადმე მიდიოდა. მთავარი იყო, იუკიკო მასთან დარჩენილიყო და ჭკვიანად იქცეოდა, მაგრამ დღეს დედასთან ერთად იუკიკოც მიდიოდა, თაეკოც და ცუდ ხასიათზე იყო. კონცერტი ორზე იწყებოდა და როგორც კი დამთავრდებოდა, იუკიკო მაშინვე სახლში გამოიქცეოდა, რომ ეცუკოსთან ერთად ევახშმა. როგორც იქნა, დაითანხმეს.

– კოი-სან, იცი? იუკიკოსთან დაკავშირებით კიდევ ერთი სიახლეა.

– ჰოო?

თაეკო თეთრ პუდრს მკაფიო ხაზებად უსვამდა უფროს დას კისერსა და მხრებზე. საჩიკოზე ნამდვილად ვერ იტყოდით, რომ მოხრილი იყო, თუმცა მისი მკვრივი და ამობურცული მხრები სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა. შემოდგომის ნათელ ამინდში

[1] კოი-სან – ოსაკაში ასე მიმართავდნენ უმცროს ქალიშვილებს.

მისი ნამიანი კანი სხვანაირი პეწით ბზინავდა. 30 წელზე მეტისას არაფრით ჰგავდა.

– ქ-ნ იტანისგან მოვიდა ამბები.

– ჰოო?

– ფირმის თანამშრომელიაო, MB-ის ქიმიურ საწარმოში მუშაობსო.

– და რამდენს იღებსო?

– ყოველთვიურად 170 ან 180 იენს, ბონუსებით 250-იც გამოსდისო.

– MB-ის ქიმიური საწარმო ის არ არის, ფრანგების?

– კი, ეგაა. ყოჩაღ, კოი-სან, გცოდნია!

– კი, კომპანიები კარგად ვიცი.

უმცროსი თაეკო ასეთ რაღაცებში ორივე დას სჯობდა. სარგებლობდა ამით და ხანდახან ისე ელაპარაკებოდა დებს, რომლებიც არ იცნობდნენ ამ სხვა სამყაროს, თითქოს თავად იყო ყველაზე უფროსი.

– მე კი გაგონილიც არ მქონდა. პარიზში ჰქონიათ მთავარი ოფისი, შემოსავლიანი კომპანია ყოფილა.

– იაპონიაში, მგონი, კობეში რომ დიდი შენობაა სანაპიროზე, მაგათია, არა?

– ჰო, ზუსტად ეგ არის. მანდ მუშაობს ისიც.

– ფრანგული იცის?

– ოსაკის უცხო ენების უნივერსიტეტში ფრანგული ენის ფაკულტეტი დაამთავრა და პარიზშიც ნამყოფია. კომპანიის გარდა, საღამოს სკოლაში ფრანგულს ასწავლის და იქიდანაც შემოსავალი 100 იენი აქვს. ასე რომ, თვეში 350 იენი გამოსდის.

– ქონება?

– განსაკუთრებული – არაფერი. სოფელში ჰყავს დედა, რომელსაც ძველებური სახლი აქვს. თვითონ როკოში ცხოვრობს. ის ნახევრად ევროპული სტილის ძალიან პატარა სახლი თავისი პატარა ნაკვეთით კრედიტით იყიდა. დიდი ვერაფერი.

– სამაგიეროდ, იმის გამო, რომ ქირას არ იხდის, ისე შეუძლია იცხოვროს, თითქოს ზედმეტი 400 იენი ჰქონდეს.

– როგორია იუკიკო-ჩანისთვის? ნათესავიც მხოლოდ დედა ჰყავს, ისიც სოფელში ცხოვრობს და კობეში არც ჩამოდის ხოლმე. 40 წლისაა და ეს პირველი ქორწინება იქნება.

– 40 წლამდე რატომ არ იქორწინა, ნეტავ?

– როგორც მითხრეს, ძალიან წუნია ყოფილა და ამიტომ დააგვიანდა.

– ეგ ცოტა საეჭვოა! კარგად უნდა გავარკვიოთ.

– ახლა თურმე ძალიან მონდომებული ყოფილა...

– კიან-ჩანის ფოტო მიეცი?

თაეკო პატარაობიდან საჩიკოს ნაკაან-ჩანს[2] ეძახდა, რადგან საჩიკოზე უფროსი კიდევ ერთი და ჰყავდათ, ხოლო იუკიკოს – იუ-კი-ან-ჩანს, რაც დროთა განმავლობაში კიან-ჩანი გახდა.

– არა, როდესაც იტანის გავუგზავნე ფოტო, ჩემს უკითხავად უჩვენებია, მას კი მაშინვე ძალიან მოსწონებია.

– ამ კაცის ფოტო არ გაქვს?

ქვედა სართულიდან ფორტეპიანოს ხმა არ წყდებოდა. საჩიკო დარწმუნდა, რომ იუკიკო ზემოთ ამომსვლელი არ იყო.

– აი, მანდ, ზედა მარჯვენა უჯრა გახსენი და ნახე.

პომადა აიღო და ტუჩები ისე გამობურცა, თითქოს სარკეში საკუთარი თავის კოცნას აპირებდა.

– მანდ უნდა იყოს, სადღაც.

– აი, ვნახე! კიან-ჩანსაც აჩვენე?

– ვაჩვენე.

– რა გითხრა?

– როგორც ყოველთვის ამბობს ხოლმე: „აა, ეს არის?“ შენ რას ფიქრობ, კოი-სან?

– ჰმ, ასე თუ შევხედავთ, ჩვეულებრივი ტიპია, ულიმღამოზე ცოტათი მეტი, ალბათ. ისე, როგორც უნდა შეხედო, ტიპური ოფისის მუშაკია.

---

[2] ნაკაან-ჩანი – ასე უწოდებენ შუათანა დას მასზე უმცროსები (ნაკა-შუათანა ან/ ანე-უფროსი და).

– ასეც არის. რა, არა? ოფისში მუშაობს.

– ისე, კიან-ჩანისთვის ერთი სიკეთეც იქნებოდა – ფრანგულს ასწავლიდა!

სახეს მორჩენილიყო, ამიტომ საჩიკომ კიმონოს შეფუთვას, რომელსაც „კიძუჩიას“ ქსოვილების მაღაზიის იარლიყი ჰქონდა, თასმა შეხსნა და უცებ გაახსენდა:

– უი, კინაღამ დამავიწყდა! B-ვიტამინოზი მაქვს. კოი-სან, გთხოვ, დაბლა ჩადი და სთხოვე, შპრიცი გაასტერილონ.

ოსაკასა და კობეში ბერი-ბერი მოარულ დაავადებად ქცეულიყო. ამის ბრალი იყო, ალბათ, ისიც, რომ მთელი ოჯახი, საჩიკოს მეუღლიანად და ეცუკოც კი, რომელიც ჯერ მხოლოდ პირველ კლასში იყო, ყოველ წელს, ზაფხულიდან მოყოლებული, შემოდგომაზეც კი ამით იტანჯებოდა და ნემსის გაკეთებაც უკვე ჩვევად ჰქცეოდათ. ბოლო დროს ექიმსაც აღარ ეძახდნენ, თიამინის ძლიერ ნემსებს იმარაგებდნენ და მთელი ოჯახი ერთმანეთს, თითქოს არც არაფერიაო, ისე უკეთებდა. სულ პატარა რაღაცაც კი მაშინვე B ვიტამინის დეფიციტს ჰბრალდებოდა და ვიღაცამ ასეც შეარქვა – B-ვიტამინოზი.

პიანინოს ხმა რომ შეწყდა, თაეკომ ფოტოსურათი უჯრაში ჩააბრუნა და დერეფანში გავიდა, თუმცა ქვევით არ ჩასულა, ზემოდან დაიძახა:

– ვინმემ გამოიხედეთ! ქალბატონმა ნემსი უნდა გაიკეთოს. შპრიცი გაასტერილეთ!

2

ქ-ნი იტანი კობეში სასტუმრო „ორიენტალის“ მახლობლად სილამაზის სალონის მეპატრონე გახლდათ. ამ სალონს საჩიკო და მისი დები ხშირად სტუმრობდნენ. საჩიკომ რომ გაიგო, იტანის მაჭანკლობაც ეხერხებოდა, მაშინვე იუკიკოს ფოტო მიუტანა და დახმარება სთხოვა. მალევე სალონში თმის მოსაწესრიგებლად რომ მივიდა, იტანიმ თავისუფალი დრო გამონახა და საჩიკო დასალაპარაკებლად „ორიენტალის“ ფოიეში ჩაიზე მიიპატიჟა.

– ჩემგან, ალბათ, ცუდად გამოვიდა, რომ თქვენთან გასაუბრების გარეშე გადავწყვიტე, მაგრამ ორჭოფობის დრო არ იყო, კარგი შანსის ხელიდან გაშვება არ მინდოდა, – გამოუცხადა იტანიმ.

დაახლოებით თვე-ნახევრის წინ, ეს სასიძო რომ გამოჩნდა, იტანის იუკიკოს ფოტო უჩვენებია, მაგრამ მას შემდეგ დრო გავიდა და სასიძოსგან ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. იტანისაც მივიწყებია ეს ამბავი, თუმცა ამასობაში ეს კაცი თურმე იუკიკოს ოჯახის ასავალ-დასავალს იკვლევდა. მოუძებნია ინფორმაცია ოსაკაში მცხოვრები მთავარი ოჯახის (უფროსი დის) და ოჯახის სხვა შტოების შესახებ. იუკიკოს სკოლაშიც კი მისულა, კალიგრაფიისა და ჩაის ცერემონიის მასწავლებლებს გასაუბრებია. თქვენს ოჯახზე უკვე ყველაფერი იცის, გაზეთის სტატიაზეც გაუგია და რედაქციაშიც კი მისულა სიმართლის გასარკვევადო. ყველაფერს თავადაც კარგად მიმხვდარა, მაგრამ იტანის უფრო დასარწმუნებლად მაინც უთქვამს, ქალბატონს რომ შეხვდები, მიხვდები, ასეთია თუ არაო. მაშინ ძალიან თავმდაბლად და მოკრძალებულად უპასუხია, რომ თავს მაკიოკას ოჯახის შესაფერად არ თვლის და რომ თავისი მწირი შემოსავლით

ასეთ მშვენიერ ქალიშვილზე დაქორწინებაზე არც უოცნებია და რომც მეოცნება, ჩემს ღარიბულ საცხოვრებელში იუკიკო-სანის დანახვა გუნებას წამიხდენსო, თუმცა თუკი ბედმა ასე ინება და დავქორწინდებით, უაღრესად მადლიერი ვიქნებიო. ამიტომ იქნებ მხოლოდ ახსენოთ ჩემი სახელიო, უთხოვია იტანისთვის.

რაც შეეხებოდა მამაკაცს, იტანის გაურკვევია, რომ მისი წინაპრები ბაბუამდე ჰოკურიკუს რეგიონში ერთ-ერთი პატარა კლანის მმართველის მრჩევლები იყვნენ და რომ მაშინდელი კარმიდამოს ნაწილი კიდევ შემორჩენოდათ სოფელში, ასე რომ, წარმომავლობით არც ისეთი შეუფერებელიაო. კი, თქვენი გვარი ერთ-ერთი უძველესია და ოსაკაში მაკიოკა ყველამ იცის, მაგრამ, მაპატიეთ, ახლა რასაც ვიტყვი და როდემდე უნდა იცხოვროთ წარსული დიდებითო? ამასობაში პატარა ქალბატონს სულ უფრო ცოტა შანსი დარჩება დაოჯახების და არ ჯობია, ცოტა დათმოთო? კი, შემოსავალი არც ისეთი დიდი აქვს, მაგრამ ჯერ 40 წლისაა, შეიძლება ხელფასი მოუმატონ და თან უცხოურ კომპანიაში მომუშავეებს, იაპონურისგან განსხვავებით, მეტი თავისუფალი დრო აქვთ; თვითონ ამბობს, საღამოს სკოლაში გაკვეთილებს თუ დავიმატებ, თვეში 400 იენზე მეტი გამომივაო, რაც უკვე ახალდაქორწინებულებს მოსამსახურის აყვანის საშუალებას მისცემს. რაც შეეხება მის ხასიათს, იტანიმ განაცხადა, რომ მისი უმცროსი ძმა სკოლიდან იცნობს და თავს დებს, კარგი ხასიათისაააო, თუმცა, რა თქმა უნდა, თქვენ თვითონაც შეძლებთ გაკითხვასო. აქამდე იმიტომ არ უქორწინია, რომ თავისი მოსაწონი ვერავინ ნახა. იმას ვერ ვიტყვით, რომ აქამდე ურთიერთობა არავისთან ჰქონია, ბოლოს და ბოლოს, პარიზშია ნამყოფი და თან 40 წელსაც გადააბიჯა, მაგრამ როცა შევხვდი, ისეთი სერიოზული კაცის შთაბეჭდილება დატოვა, ერთი წამითაც ვერ იფიქრებ, რომ გართობის მოყვარულიაო. რაც შეეხება გარეგნობით საცოლის შერჩევას, ყველა წარმოსადეგი კაცი ხომ ასე იქცევა – პარიზში ნამყოფია, მაგრამ ცოლად ნამდვილი იაპონური სილამაზის ქალი უნდა. არ არის აუცილებელი, დასავლური სამოსი უხდებოდეს. მთავარია, იაპონურ კიმონოს კოხტად

იცვამდეს და სახე ლამაზი ჰქონდესო. რა თქმა უნდა, ხელ-ფეხის სილამაზეც მნიშვნელოვანია. დახვეწილი უნდა იყოს და მშვიდი. თქვენი პატარა ქალბატონი კი ზუსტად ასეთიაო, დასძინა იტანიმ.

იტანი საწოლს მიჯაჭვულ დამბლადაცემულ ქმარს უვლიდა, თან სალონს მართავდა. მარტომ მოახერხა და უმცროს ძმას სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრებინა, დოქტორის ხარისხიც მიაღებინა, ამ გაზაფხულზე კი თავის ქალიშვილს მეჯიროს სასწავლებელში ჩააბარებინა. იტანის გონება ჩვეულებრივი ქალის ტვინზე რამდენჯერმე სწრაფად მუშაობდა და ყველაფერში მოხერხებული იყო, საქმის ალღო ჰქონდა, მაგრამ ქალურობა აკლდა. არც ლამაზი სიტყვებით მოგთაფლავდა, რაც გულში ჰქონდა, პირდაპირ გეტყოდა, თუმცა ეს ნათქვამი არასდროს იყო მკვახე და უხეში. არ ამლაშებდა, მხოლოდ აუცილებელ სიმართლეს გეტყოდა, რომელიც მსმენელზე ცუდად არ მოქმედებდა. იტანის ჩვეულ სწრაფ და ენერგიულ საუბარს რომ უსმენდა საჩიკო, ფიქრობდა, მეტისმეტი ხომ არ მოსდისო, მაგრამ თანდათან მიხვდა, რომ ამ კაცური, უფროსობას მიჩვეული ხასიათიდან მისდამი მხოლოდ კეთილგანწყობა იფრქვეოდა. დამაჯერებლად და ძალდაუტანებლად შეეძლო საუბრის გაბმა და ამით თითქოს გიჭერდა. საჩიკოს რაც შეიძლება მალე უნდა გადაეწყვიტა და ამ საკითხზე ოჯახთან მოეთათბირა. სასიძოს ოჯახზეც ყველაფერი გასარკვევი იყო. საუბარი ამით დასრულდა.

ითვლებოდა, რომ 29 წლის იუკიკო, ოთხიდან მესამე და, სერიოზული მიზეზის გამო არ იყო დაოჯახებული, არადა არანაირი მიზეზი არ არსებობდა. ან თუ მაინცდამაინც მიზეზს ვეძებთ, შეიძლება ითქვას, რომ მიზეზი მათი გვარი იყო. მაკიოკას უძველესი გვარის ტყვეობაში იყვნენ ცურუკოც, საჩიკოც და იუკიკოც. აწ გარდაცვლილი მამის დიდებულ ცხოვრებას, წარსულში დიადი ოჯახის სახელსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას ვერ ივიწყებდნენ და ასეთ ვითარებაში არავინ იყო იუკიკოს შესაფერი. მთხოვნელებს ერთმანეთის მიყოლებით ისტუმრებდნენ უარით. ბოლოს ყველას მოჰბეზრდა მათი წუნიაობა და მაჭანკლობა შეწყვიტეს. ამასობაში მაკიოკას ოჯახის ფინანსური მდგომარეობა ნელ-ნელა გაუარესდა, ამიტომაც

იტანის სიტყვები, წარსულზე ნულარ ფიქრობო, ნამდვილად კეთილი რჩევა იყო. მაკიოკას გვარის ოქროს ხანა თაიშოს[3] პერიოდის მიწურულს უკავშირდებოდა და მისი დიდება ახლა მხოლოდ ოსაკელების ნაწილში ცოცხლობდა. უფრო სწორად, თაიშოს მიწურულისას უკვე დიდების წლების ანარეკლი ჩანდა. მამის მფლანგველობამ და ცხოვრებაშიც და ბიზნესშიც დაუფიქრებელმა საქციელმა ოჯახი გაკოტრებამდე მიიყვანა. მალე მამა გარდაიცვალა და წარმოების რეორგანიზება-შემცირება გახდა საჭირო. ასე მოუწიათ მათი საამაყო ისტორიული მაღაზიის გაყიდვამ სემბაზე, რომელსაც შოგუნატიდან[4] მოყოლებული ფლობდნენ. საჩიკო და იუკიკო მას შემდეგაც დიდხანს ვერ ივიწყებდნენ იმ პერიოდს, როდესაც მამა ცოცხალი იყო. იმ შენობის რეკონსტრუქციამდე რამდენჯერაც გვერდით ჩაუვლიდნენ, იმდენჯერ ჩერდებოდნენ და ნოსტალგიამოძალებულები მაღაზიის მტვრიანი ფარდის მიღმა წარსულს ლანდავდნენ.

ოჯახში მხოლოდ გოგონები იყვნენ, უფროს მაკიოკას ვაჟი არ ჰყოლია, ამიტომ უკვე ხანში შესულმა თავისი საქმეები უფროსი ქალიშვილის, ცურუკოს ქმარს, ტაცუოს, გადააბარა, რომელმაც მაკიოკას გვარი მიიღო. დააქორწინა მეორე შვილი საჩიკოც, რომელმაც ასვე ოჯახის გვერდითი შტო შექმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, იუკიკოსთვის, რომლის დაოჯახების ასაკიც მოახლოებულიყო, მამამ საქმროს მოძებნა ვეღარ შეძლო, ოჯახის ახალ უფროსთან, ტაცუოსთან კი იუკიკომ ურთიერთობა ვერ ააწყო.

ტაცუო ბანკირის შვილი იყო და სანამ სიძე გახდებოდა და მაკიოკა „იშვილებდა“, მანამდე ოსაკაში ერთ-ერთ ბანკში მუშაობდა. საქმეების გადაბარების შემდეგაც ძირითად საქმიანობას ისევ მამობილი და უფროსი კლერკი უძღვებოდნენ, მამობილის სიკვდილის შემდეგ კი, ცოლის დებისა და ნათესავების წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელთაც ეგონათ, რომ ისევ შეიძლებოდა მაღაზიის გადარჩენა, ტაცუომ მაღაზია მაკიოკას ოჯახში დიდხანს მომუშვე საქმეთა

[3] თაიშოს პერიოდი – 1912-1926 წწ., იმპერატორ იოშიჰიტოს ზეობის ხანა.

[4] შოგუნატი – სამხედრო მმართველობა (ედოს შოგუნატი 1600 წლიდან 1868 წლამდე).

მმართველს მიჰყიდა. თვითონ ბანკს დაუბრუნდა. თავმომწონე სიმამრისგან განსხვავებით, ტაცუო მიწაზე მყარად იდგა და გაუბედავი იყო. მან უჩვეულო საოჯახო ბიზნესის ფინანსურ პრობლემებთან ბრძოლას უფრო უსაფრთხო გზა არჩია. ალბათ, თვლიდა, რომ ასე თავისი, როგორც შვილობილისა და მემკვიდრის, ვალი მოიხადა. იუკიკოს წარსული დრო ენატრებოდა, სიძის ასეთ საქციელს გულში კიცხავდა და თვლიდა, რომ მამამისი ცოცხალი რომ ყოფილიყო, მის აზრს გაიზიარებდა. ალბათ, ახლა საფლავიდან ლანძღავსო, ფიქრობდა. და ამ დროს, მამის გარდაცვალებიდან მალევე, ტაცუო დიდი მონდომებით შეუდგა იუკიკოს დაოჯახებას. კანდიდატიც შეარჩია – მდიდარი ოჯახის მემკვიდრე ტოიოჰაშიდან, იმ რეგიონში ბანკის აღმასრულებელი დირექტორი. ბანკი, რომელშიც ტაცუო მუშაობდა, ამ ბანკის ფილიალი იყო და ტაცუომ კარგად იცოდა ამ ადამიანის ხასიათიც და მისი ქონების ავანჩავანიც. თანაც ტოიოჰაშელი საიგუსას გვარი მაკიოკას გვარს არ ჩამოუვარდებოდა, პირიქით, მათ დღევანდელ მდგომარეობაზე გაცილებით მაღლა იდგა. თავად კანდიდატიც სასიამოვნო ადამიანი იყო და ამიტომ გარიგებით შეახვედრეს კიდეც ერთმანეთს, მაგრამ ერთი შეხვედრის შემდეგ იუკიკოს მისი ნახვა აღარ მოუნდა. გარეგნობით არ ვარგაო, ვერ იტყოდა, თუმცა იუკიკოზე რატომღაც პროვინციელის შთაბეჭდილება დატოვა. სასიამოვნო ადამიანი ჩანს, მაგრამ სახეზე ინტელექტის ნიშანწყალი არ ეტყობაო, თქვა იუკიკომ. იცოდნენ, ბიჭს საშუალო სკოლის ცხრა კლასის შემდეგ ავადმყოფობის გამო მაღალ კლასებში სწავლა რომ აღარ გაუგრძელებია. ალბათ, მეცნიერებისადმი მიდრეკილება არ ჰქონდა და ამიტომაცო, იუკიკომ კი სკოლის შემდეგ ინგლისური ლიტერატურის სპეციალური კურსი საუკეთესო ნიშნებით დაამთვრა და ეშინოდა, რომ ასეთი კაცის პატივისცემას ვერ შეძლებდა. ამის გარდა, რაც უნდა მდიდრული ცხოვრების გარანტია ჰქონოდა, ტოიოჰაშისნაირი რეგიონის პატარა ქალაქში ცხოვრება ძალიან მოსაწყენი ეჩვენებოდა. ამაში იუკიკოს საჩიკოც მხარს უჭერდა, ასეთი ადგილისთვის მასაც ეცოდებოდა უმცროსი და, ტაცუოს აზრით კი მისი ცოლისდა შეიძლება სწავლაში ნიჭიერი იყო, მაგრამ – მეტისმეტად გაუბედავი და

მორცხვი და მისთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა მშვიდ, პროვინციულ ქალაქში ინტრიგების გარეშე ცხოვრება. რთული იყო მისი დარწმუნება, რომ იუკიკო სხვაგვარად ფიქრობდა. პირველად მაშინ აღმოაჩინა ტაცუომ, რომ მორცხვი და კარჩაკეტილი იუკიკო, რომელიც სხვების თანდასწრებით ხმასაც ვერ იღებდა, არც ისეთი მორჩილი ყოფილა, როგორიც ჩანდა.

რაც შეეხება იუკიკოს, მან თავისთვის კი გადაწყვიტა „არა“, მაგრამ ეს რომ თავიდანვე გარკვევით ეთქვა, კარგი იქნებოდა. ისე ბუნდოვნად პასუხობდა ყველას, გარკვევით ვერაფერს გაიგებდი. გადამწყვეტი მომენტი რომ დადგა, მაშინაც პირდაპირი პასუხი ვერც ტაცუოსთან გაბედა და ვერც – ცურუკოსთან. წავიდა და მხოლოდ საჩიკოს გაანდო გულისნადები. ძალიან მონდომებული ტაცუოსთვის ასე პირდაპირ უარის თქმა ვერ შეძლო. იუკიკოს ერთ-ერთი ნაკლი სწორედ ის იყო, რომ ასეთ სიტუაციაში საჭირო სიტყვების პოვნა უჭირდა.

ტაცუო დარწმუნებული იყო, რომ იუკიკო ასეთ ქორწინებაზე უარს ვერ იტყოდა, თავად კანდიდატი კი იუკიკოსთან შეხვედრის შემდეგ აღფრთოვანდა და მხოლოდ იუკიკო სურდა ცოლად. საქმე უკვე ქორწილამდე მივიდა, მაგრამ ამ დროს იუკიკომ მკაცრი „არა“ გამოაცხადა. როგორ არ ეცადნენ ტაცუო და ცურუკო მის გადარწმუნებას, მაგრამ ვერ დაითანხმეს. ტაცუო სასოწარკვეთილი იყო. ამ ქორწინებას ხომ მამაც სიამოვნებით დაუკრავდა კვერს. უფრო კი ის აწუხებდა, რომ სასიძოს ოჯახთან შუამავალი იმ ბანკის უფროსი იყო, რომელშიც ტაცუო მუშაობდა. რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ როგორ უნდა ეთქვა, სახეზე ინტელექტის ნიშან-წყალი არ ეტყობაო? ტაცუოს ამის წარმოდგენაზეც ცივი ოფლი ასხამდა. ამის გამო ქორწინების ჩაშლა როგორ უნდა გაემხილა?! იუკიკო თავნება იყო! თუმცა შეიძლებოდა დაეჭვება, რომ იუკიკო ამას განზრახ აკეთებდა, რათა ტაცუო ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩაეგდო. ჰოდა, ამ მწარე გამოცდილების შემდეგ იუკიკოსთვის საქმრო აღარასდროს უძებნია. როდესაც ახალ მთხოვნელზე რაიმეს შეატყობინებდნენ, რა თქმა უნდა, უხაროდა, მაგრამ ცდილობდა, თვითონ არც დასთანხმებოდა და არც უარი ეთქვა.

3

იუკიკოს დაოჯახების ხელშემშლელი კიდევ ერთი ფაქტორი იყო – იტანის ნახსენები „გაზეთის სტატია“.

ეს ამბავი დაახლოებით ხუთი-ექვსი წლის წინ მოხდა, როდესაც უმცროსი და თაეკო 19 წლის იყო. სემბაზე საიუველირო მაღაზიის მფლობელის, ასევე ერთ-ერთი უძველესი გვარის, ოკუბატას ვაჟი შეუყვარდა და ერთად გაიპარნენ. ღრმად ფესვგადგმული წესის მიხედვით, იუკიკოს დაოჯახებამდე თაეკო ვერ დაქორწინდებოდა, ამიტომ ახალგაზრდა შეყვარებულებმა უკიდურესი ნაბიჯი გადადგეს და გაქცევა გადაწყვიტეს. სერიოზული მოტივიც ჰქონდათ, მაგრამ ორივე ოჯახი სასტიკი წინააღმდეგი აღმოჩნდა. ისინი იპოვეს და სახლებში დააბრუნეს. ეს ამბავი ბავშვურ სისულელედ მოინათლა და ასეც დასრულდებოდა, რომ არა ოსაკას ერთ-ერთი პატარა გაზეთის რედაქცია. მათ საიდანღაც გაიგეს ეს ამბავი და სტატიაც გამოაქვეყნეს, თუმცა შეცდომით თაეკოს მაგივრად იუკიკო ახსენეს და ასაკიც იუკიკოსი მიუთითეს. ამან მაკიოკების ოჯახს თავსატეხი გაუჩინა: სტატიის ამოღება რომ მოეთხოვათ, ამით ამ ამბავს დაადასტურებდნენ; სახელის შესწორება რომ მოეთხოვათ, მაშინ თაეკოს სახელს მიადგებოდა ჩრდილი. დიდხანს ფიქრის შემდეგ ოჯახის უფროსმა ტაცუომ გადაწყვიტა, რომ თაეკოს გამო უდანაშაულო იუკიკო არ უნდა დასჯილიყო და რედაქციას სტატიის ამოღება მოსთხოვა, მაგრამ მოხდა ის, რისიც ოჯახს ეშინოდა – სტატია არ ამოიღეს, გაასწორეს და ახლა იუკიკოს მაგივრად თაეკოს სახელი გახმაურდა. რა თქმა უნდა, ამის შესახებ

სჯობდა ტაცუო ჯერ იუკიკოს დალაპარაკებოდა, მაგრამ ტაცუო ფიქრობდა, რომ იუკიკო, როდესაც საქმე მას ეხებოდა, ყოველთვის გაჩუმებას ამჯობინებდა და არც ახლა გასცემდა მკაფიო პასუხს. არც დებთან ულაპარაკია. იუკიკოსა და თაეკოს ამ ამბავში სხვადასხვა ინტერესი ჰქონდათ და ამიტომ დებს შორის უთანხმოების თავიდან ასარიდებლად მხოლოდ თავის მეუღლეს, ცურუკოს მოეთათბირა. როგორც ოჯახის უფროსმა, ასე გადაწყვიტა, მაგრამ გულწრფელად რომ ითქვას, თაეკოს გაწირვით და იუკიკოს რეპუტაციის აღდგენით იუკიკოს კეთილგანწყობის მოპოვებას ფიქრობდა. ტაცუოს, როგორც ოჯახის ახალ უფროსს, ყველაზე მეტად ჩუმი და ჩაკეტილი იუკიკოს გაგება უჭირდა და ამ შანსით მისი გულის მოგება სცადა, მაგრამ მიზანში ვერ მოარტყა – არც იუკიკოსა და არც თაეკოს მისი საქციელი არ მოეწონათ.

იუკიკო ფიქრობდა: „გაზეთში შემთხვევით ჩემი სახელი რომ მოხვდა, უიღბლობაა და ახლა ვეღარაფერს გავაწყობთ, შესწორებებს კი აზრი არ აქვს, რადგან ყოველთვის გაზეთის კუთხეში წერენ და თვალში არავის მოხვდება; ასე თუ ისე, ჩვენი სახელი ერთხელ უკვე მოხვდა გაზეთში და გაისვარა. ყველაზე ჭკვიანური თავიდანვე ყველაფრის არაფრად ჩაგდება იქნებოდა. მადლობელი ვარ, რომ ტაცუოს ჩემი სახელის აღდგენა სურდა, მაგრამ ახლა კოი-სანს რა ეშველება? კი, რაც მათ ჩაიდინეს, არ არის მოსაწონი, მაგრამ ეს ხომ ასაკისა და დაუფიქრებლობის გამო დაემართათ? მათ საქციელზე პასუხისმგებელი უყურადღებობის გამო ორივე ოჯახი ვართ. ტაცუომ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს და, რა თქმა უნდა, მეც. ხალხმა რაც უნდა ილაპარაკოს, მე ვინც მიცნობს, ის ჩემს უდანაშაულობაში დარწმუნებული იქნება და სულაც არ მგონია, რომ რაღაც პატარა სტატიას ჩემთვის ზიანის მოყენება შეუძლია, მაგრამ ამან შეიძლება კოი-სანზე ცუდად იმოქმედოს და სწორი გზიდან გადაახვევინოს. ტაცუოს საქციელი ლოგიკას მოკლებული და, უბრალოდ, ულაზათოა. ასეთი რაღაცის გაკეთება ჩემთან შეთანხმების გარეშე, როცა საქმე ყველაზე მეტად ჩემს ინტერესებს ეხება, ნამდვილი სისასტიკეა“.